



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 12 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2023 წლის 7 დეკემბერი

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიჰადა დელიბეგოვიჩ ჯანიჩი, ტუზლას უნივერსიტეტი, ბოსნია და ჰერცეგოვინა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ კილანავა, საქართველოს სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა ყიასაშვილი, დამსაქმებელი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, სსიპ - ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ენის დაუფლება - 0231
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები. )	
---	--

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>**

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 138 ECTS, საუნივერსიტეტო/ საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 24 ECTS და უცხო ენის კომპონენტი - 24 ECTS, ხოლო 54 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევითი კურსი 30 ECTS მოცულობით - და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამების არჩევითი კურსები 24 ECTS მოცულობით.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ყველა დოკუმენტი ძალიან მოკლე ვადაში წარმოადგინა. დოკუმენტების უმეტესობა ხელმისაწვდომი იყო როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, ფაკულტეტის მენეჯმენტს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 12 ოქტომბერს. 9 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან, ცენტრის მიერ მოწოდებული Zoom ბმულის საშუალებით. ამ შეხვედრაზე განხილულ იქნა და დაზუსტდა შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფს ტექნიკური თვალსაზრისით მხარი დაუჭირეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა, რომლებიც ფიზიკურად იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში ადგილზე ვიზიტის დროს. ცენტრმა ეფექტური თარგმანი უზრუნველყო. ექსპერტთა ჯგუფმა და, განსაკუთრებით, თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ადგილზე ვიზიტის მომზადებაში მონაწილეობდა. განსაკუთრებული მადლობა NCEQE-ს წარმომადგენლებს, ვინც უზრუნველყო მთელი პროცესის შეუფერხებელი მსვლელობა

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შინაარსი  სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამის ობა პროგრამა სთან	2. სწავლების მეთოდო ლოგია და ორგანიზე ბა, პროგრამის ს ათვისების შეფასების ადეკვატუ რობა	3. სტუდენტ თა მიღწევები, მათთან ინდივიდუ ალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებ ით უზრუნვე ლყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარე ბის შესაძლებ ლობანი
ინგლისური ფილოლოგი ის საბაკალავრო პროგრამა	მეტწილა დ შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან	მეტწილა დ შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან	შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან	შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან	შესაბამისობ აშია მოთხოვნე ბთან

#### რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების და საჭიროებების და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ტენდენციების დაკმაყოფილება.
- გადაიხედოს სწავლის შედეგი “C” ვინაიდან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნებოდა „იყენებს ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) მინიმუმ B2 დონეზე“.
- საგანი „ინგლისური ენის სტილისტიკა“ უნდა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი ძირითადი დარგის ფარგლებში, რაც გაამდიდრებს სასწავლო გეგმას და სტუდენტებს ლინგვისტური და სტილისტური ელემენტების ყოვლისმომცველ ცოდნას შესძენს.
- გადაიხედოს არსებული საგანი „აკადემიური წერა“ და შეიცვალოს უფრო მორგებული და სპეციფიკური კურსით სახელწოდებით „აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის“, რაც უფრო შეესაბამება სტუდენტების სპეციალიზებულ აკადემიურ საჭიროებებს.

- ხელახლა შეფასდეს და გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა ძირითადი კომპეტენციის საგნებისთვის, როგორცაა "შესავალი ენათმეცნიერებაში", "შესავალი ფილოლოგიაში", "შესავალი ლიტერატურის მცოდნეობაში" და სხვა.
- საფუძვლიანად გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალის მოცულობა, განსაკუთრებით ისეთ კურსებში, როგორცაა "მე-17-მე-18 საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია" და სხვა. კრიტიკულად შეფასდეს ყოველკვირეული მასალის გაშუქების ადეკვატურობა სილაბუსთან მიმართებაში და შეტანილ იქნეს აუცილებელი ცვლილებები, რომ სტუდენტებს დაბალანსებული და მართვადი დატვირთვა ჰქონდეთ.
- დეტალურად იქნეს შესწავლილი სასწავლო კურსები, თითოეულ კურსზე ჩამოყალიბდეს მორგებული და შესაბამისი წინაპირობები. დარწმუნდით, რომ წინაპირობები შეესაბამება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ადეკვატურად ამზადებს სტუდენტებს თითოეული კურსის გამოწვევებისთვის.
- შემდეგ კურსებში უფრო ზუსტად იქნეს შეტანილი შედეგთან დაკავშირებული თემატიკა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები: „მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია“; „XX საუკუნის ქართული პოეზია“, „ინგლისური ენა ბიზნესისთვის“, „კორპუს ლინგვისტიკა“, „ფრანგული ენა A1“, „თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა (1960-დღემდე)“ და „მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო“.
- შეფასდეს „პრაქტიკის“ კომპონენტის შესაბამისობა პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, ამოღებულ იქნას მიმდინარე „პრაქტიკის“ კომპონენტი პროგრამის ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან სხვა სასწავლო კურსებში პრაქტიკული ელემენტების დახვეწისა და ოპტიმიზაციის მეშვეობით.
- პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი კვლევის მეთოდებში, რომელიც შეესაბამება სწავლის დონეს, რათა ეფექტურად განვითარდეს კვლევის უნარები და წარმატებით იქნეს მიღწეული სწავლის შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.
- რეკომენდებულია სწავლების მეთოდის აღწერილობების მორგება კონკრეტული კურსის შინაარსსა და პროგრამის სავარაუდო შედეგებზე დაყრდნობით; სწავლების მეთოდებსა და თითოეული კურსის შედეგებს შორის მეტი სიცხადე და შესაბამისობა.
- რეკომენდებულია „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის“ თანმიმდევრულად გამოყენება ან საჭიროების შემთხვევაში პლაგიატის საკითხების სხვაგვარად რეგულირება (თუ პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას) - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს ასეთი რეგულაციები შესაბამის დოკუმენტებში და უზრუნველყოს, რომ ისინი ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია ჩატარდეს B2 დონის სერტიფიკატის ქულების საფუძვლიანი მიმოხილვა და აუცილებელი კორექტირება (TOEFL IBT), რაც უზრუნველყოფს ენის ცოდნის დადგენილ სტანდარტებთან სიზუსტეს და შესაბამისობას.
- იმისთვის, რომ პროგრამის წინაპირობები უფრო გასაგები გახდეს, სასურველია მიეთითოს მიზნობრივი სეგმენტი, ზუსტი თარიღები და კანონმდებლობასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი დეტალები, რომლებსაც პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების მიღებისას.
- პლაგიატის პრობლემასთან დაკავშირებით, სასურველია მეტი ძალისხმევა დაიხარჯოს პრევენციაზე, ვიდრე დასჯაზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს ეცნობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის გადაცემული აკრედიტაციის ანგარიშის პროექტის შინაარსი. უსდ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ გარკვეულ მოსაწესრიგებელ საკითხებს. ამ განყოფილებაში ჩვენ პირველ რიგში განვიხილავთ ყველა რეკომენდაციას, რასაც მოჰყვება უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დამატებითი განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არ ეთანხმება ჯგუფი უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებულ პოზიციას და ტოვებს რეკომენდაციას ძალაში.

**რეკომენდაცია 1: რეკომენდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.**

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ახალი პროგრამის „ინგლისური ფილოლოგიის“ შემუშავების ფარგლებში, განხორციელდა შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო „ინგლისური ფილოლოგიის“ სპეციალობის მიმართულებით შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციებისა და მოთხოვნების გამოკვეთა. კვლევა მოიცავდა როგორც დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასებას, ასევე დასაქმების პორტალზე არსებულ ვაკანსიებს (<https://www.jobs.ge/> , <https://www.marketer.ge/> და <https://www.hr.ge/> ) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საქართველოს შრომის ბაზრის 2022 წლის ანალიზს. კვლევის ფარგლებში დამსაქმებელთა სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ განათლების, ტურიზმის, ბიზნესისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც მართლაც არიან ინგლისურ ფილოლოგიაში მთავარი დაინტერესებული მხარეები. გარდა ამისა, შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში, პროგრამა შეადარეს როგორც საქართველოს, ისე უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს, მათი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით. საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში უნივერსიტეტმა პროგრამას დაამატა შემდეგი კურსები: „აშშ-ის ისტორია და გეოგრაფია“, როგორც სავალდებულო კურსი და „მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია“, მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია (1960 წლამდე) და „თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა (1960 წლიდან დღემდე)“ არჩევით კურსებად. უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ პროგრამა დადებითად შეაფასეს როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა კოლეგა პროფესორებმა (ვარშავის უნივერსიტეტი). კერძოდ: აღნიშნეს, რომ პროგრამა სტუდენტებს აძლევდა თეორიულ ცოდნას და ხელს უწყობდა შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამა ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ს არგუმენტირებულ

პოზიციას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები ნაწილობრივ გათვალისწინებულია. პოტენციური შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განხორციელდა ბაზრის კვლევა და მან მოიცვა პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ. უსდ-მ ვერ მიაღწია ინგლისური ფილოლოგიის დარგში ძირითად დაინტერესებულ მხარეებს და ეს დადასტურდა ინტერვიუების დროს. ეს, სამწუხაროდ, ზღუდავს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი სურათის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ადგილზე ვიზიტისას უსდ-ის წარმომადგენლებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ მხოლოდ ადგილობრივ შრომის ბაზარზე ექსკლუზიური ორიენტაციის ძირითადი მიზეზი არის სწავლების ენა, ანუ ქართული ენა ინგლისური კომპონენტით. გასათვალისწინებელია შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები და ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ უსდ-მ შექმნას მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმი პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომლებიც არიან ინგლისური ფილოლოგიის სფეროში მთავარი დაინტერესებული მხარეები, რათა უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების შესრულების უწყვეტობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

**რეკომენდაცია 2:** რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების და საჭიროებების და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ტენდენციების დაკმაყოფილება.

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** ინგლისური პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. უფრო მეტიც, პროგრამის ამოცანები მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის დარგის ისეთი კომპონენტების სწავლებას, როგორცაა ბრიტანული და ამერიკული კულტურა და ლიტერატურა. პროგრამა ავითარებს სტუდენტს ინგლისურ ენაზე თავისუფლად კომუნიკაციის უნარს სხვადასხვა აუდიტორიისთვის. პროგრამაში ჩართულია ასევე უცხოელი პერსონალიც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პროგრამა უზრუნველყოფს სპეციალისტების მომზადებას არა მხოლოდ ქართული ბაზრისთვის, არამედ უცხოური ბაზრისათვისაც. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში, პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული უცხოელი სპეციალისტების მიერ, რაც ავტომატურად მიუთითებს, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა შეესაბამება საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებსა და მოთხოვნებს.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას. უსდ-ს წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ მათი ძირითადი აქცენტი ადგილობრივ ბაზარზეა, რადგან სწავლების ენა არის ქართული. პროგრამა მოიცავს ამერიკული და ბრიტანული კულტურისა და ლიტერატურის კურსებს, მაგრამ არ მოიცავს სხვა შესაბამის სავალდებულო კურსებს, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიშში. არგუმენტი, რომ გარე შეფასება განხორციელდა ორი უცხოელი ექსპერტის მიერ, არ შეიძლება



იქნას მიღებული საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის ავტომატურ აღიარებად.

**რეკომენდაცია 3: გადაიხედოს სწავლის შედეგი “C” ვინაიდან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნებოდა „იყენებს ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) მინიმუმ B2 დონეზე“.**

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** სწავლის შედეგი C „გამოიყენებს ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას B2+ დონეზე წერილობითი და სალაპარაკო მიზნებისთვის ზოგად და სპეციალიზებულ სიტუაციებში, მათ შორის რთული და მოულოდნელი საკითხების გადაჭრის ჩათვლით“ რეალისტურად არის დაწერილი. სასწავლო გეგმის მიხედვით, I-IV სემესტრებში სტუდენტებისათვის სავალდებულო კურსად შემოთავაზებულია ინგლისური ენის უნარები 1-4, რაც საშუალებას აძლევს მათ B2 დონეზე საფუძვლიანად შეისწავლონ ინგლისური ენა.

აღნიშნული კურსები (ინგლისური ენის ცოდნა 1-4) გადის მინიმუმ B2-ზე, მაგრამ მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები საგნების დიდ ნაწილს ინგლისურად შეისწავლიან (მაგ.: "ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა", ტექსტის ანალიზი. , "ინგლისური ენის ტექსტის მიმოხილვა-მინიშნება"), რაც მათ ეხმარება, კიდევ უფრო გაიღრმავონ მიღებული ცოდნა B2+ დონეზე, გააუმჯობესონ ლექსიკა და გრამატიკა, საუბრის, მოსმენისა და წერის უნარები.

გარდა ამისა, ინგლისური ენა FCE 1 და ინგლისური ენა FCE 2 შემოთავაზებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში, რაც კიდევ უფრო დაეხმარება სტუდენტებს ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტში შემოთავაზებულია ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა „CAE 1“ და „CAE 2“, რომელთა დაუფლების შემდეგ სტუდენტს აქვს C1 დონის შესაბამისი ცოდნა და უნარები ინგლისურ ენაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ინგლისური ენის სათანადო დონეზე ფლობას (ინგლისური ენა B2+).

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ C სწავლის შედეგი უნდა გადაიხედოს, რადგან რეალისტური შედეგი, რომელიც გამომდინარეობს პროგრამიდან იქნება „იყენებს ინგლისური ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას მინიმუმ B2 დონეზე.“ უსდ თავის არგუმენტირებულ პოზიციასში ხაზს უსვამს, რომ სასწავლო პროგრამა მოიცავს ინგლისურ ენას FCE 1 და ინგლისურ ენას FCE 2. თუმცა, FCE შექმნილია ინგლისური ენის ცოდნის მყარი ზედა-შუალედური (B2) დონის შესაფასებლად და არა B2+. შემოთავაზებულია ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევითი კომპონენტები, როგორცაა "CAE 1" და "CAE 2", მაგრამ ეს არ არის სავალდებულო კურსები, რომლებსაც ყველა სტუდენტი გაივლის და რაც მიგვიყვანს ყველასთვის რელევანტურ სწავლის შედეგებამდე.

**რეკომენდაცია 4: საგანი „ინგლისური ენის სტილისტიკა“ უნდა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი ძირითადი დარგის ფარგლებში, რაც გაამდიდრებს სასწავლო გეგმას და სტუდენტებს**

**ლინგვისტური და სტილისტური ელემენტების  
ყოვლისმომცველ ცოდნას შესძენს.**

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება ადასტურებს სასწავლო გეგმაში ტექნიკური ხარვეზის არსებობას. თავად სასწავლო კურსის სილაბუსში „ინგლისური ენის სტილისტიკის“ კურსის სტატუსი მითითებულია როგორც „სავალდებულო“. შესაბამისად, დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

**რეკომენდაცია 5: გადაიხედოს არსებული საგანი „აკადემიური წერა“ და შეიცვალოს უფრო მორგებული და სპეციფიკური კურსით სახელწოდებით „აკადემიური წერა ფილოლოგიისთვის“, რაც უფრო შეესაბამება სტუდენტების სპეციალიზებულ აკადემიურ საჭიროებებს.**

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, რომელიც უნივერსიტეტის სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტის ნაწილია, სტუდენტს აძლევს აკადემიური ნაშრომის შესაქმნელად საჭირო ყველა ცოდნასა და უნარებს. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპეციალურად ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებისთვის აკადემიური წერის ელემენტები ინტეგრირებულია „ინგლისური ენის უნარების“ ყველა დონის სახელმძღვანელოში (ინგლისური ენის უნარები 1-4), სადაც თითოეული თემა მიმართულია ინგლისური ფილოლოგიის დარგში სტუდენტის კომპეტენციების გაძლიერებისაკენ, საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვისაკენ, რაც გულისხმობს აკადემიური წერის უნარების განვითარებას ფილოლოგიის დარგის უნიკალური მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, სახელმძღვანელოში "New Language Leader Coursebook, Intermediate" წარმოდგენილია შემდეგი თემები:

- სწავლისა და წერის უნარები;
- ჩანაწერების გაკეთება კითხვისას
- ესეს მომხრე და წინააღმდეგი
- მოხსენება, რომელიც აღწერს სქემას
- მოსაზრებებით მართული ესეს; თქვენი ესეს დაგეგმვა

მაგალითად: სახელმძღვანელოში - „New Language Leader Coursebook, Upper-Intermediate“ შემდეგი თემებია:

- სწავლის უნარები: ფაქტისა და აზრის ამოცნობა. წერის უნარ-ჩვევები: მოსაზრებებით მართული ესეს; გამეორების თავიდან აცილება
- სწავლის უნარები/წერის უნარი - დაწერეთ თქვენი აზრი გლობალიზაციაზე (8.1). სწავლის უნარები: თემატური წინადადებების შეჯამება, პერიფრაზირება. წერის უნარები: რეზიუმე.
- შეჯამება: სტატია (10.3). სწავლის უნარები: ბიბლიოგრაფიის წერა, მითითება. წერის უნარები: ესეების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები რთული წინადადებების დასკვნები.

შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას. ბაკალავრიატის სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც სწავლობენ ინგლისურ ფილოლოგიას და უფრო ფართოდ გამოიმუშავენ ძირითად უნარებს, პროგრამაში უნდა იყოს ჩართული სპეციალიზებული კურსი სახელწოდებით "აკადემიური წერა ფილოლოგიისთვის". ეს სტრატეგიული გაუმჯობესება მიზნად ისახავს

სტუდენტების კომპეტენციების განმტკიცებას და მათ აღჭურვას საჭირო ცოდნითა და უნარებით, რომლებიც სპეციფიკურია აკადემიური წერის მოთხოვნებისთვის ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.

**რეკომენდაცია 6:** შეფასდეს პროგრამაში „პრაქტიკის“ კომპონენტის შესაბამისობა. შესაბამისად, განხილულ იქნას მიმდინარე „პრაქტიკის“ კომპონენტის ამოღება პროგრამის ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან სხვა სასწავლო კურსებში პრაქტიკული ელემენტების დახვეწისა და ოპტიმიზაციის მეშვეობით.

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** ეს რეკომენდაცია დუბლირებულია ქვესტანდარტში 2.2 (იხ. პასუხი გვ. 4-5), რომელიც თავისი შინაარსის გამო არ ვრცელდება 1.4 ქვესტანდარტზე და შესაბამისად, კონკრეტული რეკომენდაცია უნდა მოიხსნას.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი იღებს ამ რეკომენდაციას, რადგან იგი მე-12 ნომრით მოიხსენიება ქვე-სტანდარტ 2.2-ში.

**რეკომენდაცია 7:** ხელახლა შეფასდეს და გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა ძირითადი კომპეტენციის საგნებისთვის, როგორცაა "შესავალი ენათმეცნიერებაში", "შესავალი ფილოლოგიაში", "შესავალი ლიტერატურის მცოდნეობაში" და სხვა.

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** პროგრამის სავალდებულო კურსებს „შესავალი ენათმეცნიერებაში“, „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“ და „შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“ ატარებს ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი სწავლების გამოცდილება. მათ მიერ შექმნილი სილაბუსები შედგენილია ბაკალავრიატის დონის შესაბამისად, სასწავლო კურსის სირთულის (შესავალი კურსები, რომლებიც მომდევნო სემესტრებშია გაშუქებული), სწავლების ენის (ქართული ენა), ძირითადი დასამუშავებელი ლიტერატურის გვერდების მოცულობის გათვალისწინებით, რომლებიც სტუდენტს შეუძლია თავისუფლად დაამუშაოს დამოუკიდებელი მუშაობის საათების ფარგლებში. ამასთან, მასალის ძირითადი ნაწილი მუშავდება საკონტაქტო საათებში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ენიჭებათ სასწავლო კურსებს სათანადო კრედიტი. შესაბამისად, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** კომპეტენციის ხელშეწყობისკენ მიმართულ საგნებს, როგორცაა „ლინგვისტიკის შესავალი“, „შესავალი ფილოლოგიაში“ და „შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში“, ეთმობა არასაკმარისი საათები მათთვის მინიჭებულ კრედიტებთან შედარებით. ამ საგნებში ასახული სწავლის მიზნები, ყოველკვირეული აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები, საკმარისად არ უწყობს ხელს მათ ყოვლისმომცველ გააზრებასა და პრაქტიკულ გამოყენებას კრედიტის გამოყოფით გათვალისწინებული შეზღუდული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების ფარგლებში.

**რეკომენდაცია 8:** ჩატარდეს პროგრამის ფარგლებში ძირითადი და არჩევითი საგნების საფუძვლიანი მიმოხილვა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს სილაბუსების შეცვლაზე, სადაც შეინიშნება გარკვეული გამეორებები სასწავლო ლიტერატურაში. დარწმუნდით, რომ სასწავლო გეგმა არის განახლებული და მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილების ოპტიმიზაციისთვის.

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** ლიტერატურა არ მეორდება პროგრამის ძირითად და არჩევით კურსებში და თუ მითითებულია ერთი და იგივე ლიტერატურა, თემა და წიგნის თავები განსხვავებულია. თ.გამყრელიძე, ზ.კვიციანი, ი.შადური და ნ. შენგელია, „თეორიული ლინგვისტიკის კურსი“, 2008, ძირითად ლიტერატურად არის მითითებული ექსპერტების მიერ აღნიშნულ სასწავლო კურსებში „ლინგვისტიკის შესავალი“ და „თეორიული ლინგვისტიკა“. თუმცა ორივე სილაბუსში გამოყენებულია კონკრეტული სახელმძღვანელოების სხვადასხვა თავები, რაც არ ნიშნავს სასწავლო კურსებზე ლიტერატურის დუბლირებას. რაც შეეხება წიგნს - არნ. ჩიქობავა, „ზოგადი ენათმეცნიერება, ტომი II: ძირითადი პრობლემები“, 1983 წ., ეს სახელმძღვანელო მითითებულია ძირითად ლიტერატურად კურსში „თეორიული ენათმეცნიერება“, ხოლო კურსში „ლინგვისტიკის შესავალი“ მოცემულია ამავე ავტორის სხვა სახელმძღვანელო. კერძოდ: არნ. ჩიქობავა, "ენათმეცნიერების შესავალი", თბ., 2008 წ. შესაბამისად, სასწავლო კურსებში დუბლირება არც აქ ფიქსირდება. ეს რეკომენდაცია წარმოადგენს ფაქტობრივ უზუსტობას და ამოღებულ უნდა იქნას.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი ხსნის ამ რეკომენდაციას.

**რეკომენდაცია 9:** საფუძვლიანად გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალის მოცულობა, განსაკუთრებით ისეთ კურსებში, როგორცაა "მე-17-მე-18 საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია" და სხვა. კრიტიკულად შეფასდეს ყოველკვირეული მასალის გაშუქების ადეკვატურობა სილაბუსთან მიმართებაში და შეტანილ იქნეს აუცილებელი ცვლილებები, რომ სტუდენტებს დაბალანსებული და მართვადი დატვირთვა ჰქონდეთ.

**პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან:** ექსპერტების მიერ ნახსენები სასწავლო კურსის „მე-17-18 საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია“ მასალის მოცულობა შეესაბამება სტუდენტის ყოველკვირეულ დატვირთვას და გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა. კერძოდ: მხატვრული ნაწარმოებები იკითხება მშობლიურ ენაზე და მხატვრულ ლიტერატურას მოსწავლეს ეუფლება რამდენიმე კვირის განმავლობაში. მაგალითად: თუ სტუდენტი კითხულობს მილტონის "დაკარგულ სამოთხეს" მე-2 კვირაში და აკეთებს სემინარზე ნაშრომის ზოგად მიმოხილვას, მე-3 კვირაში განიხილავს იმავე ნაწარმოების თემებს, პერსონაჟებს და ინტერპრეტაციებს, ხოლო მე-4 კვირაში აკეთებს შედარებით ანალიზს. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის დატვირთვა დაბალანსებული და მართვადია.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** როგორც ხაზგასმით აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მნიშვნელოვანი შეფოთება ჩნდება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის „XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია“-სთან, სადაც გაშუქებისათვის განკუთვნილი ყოველკვირეული მასალის მოცულობა, როგორც ჩანს, საკმაოდ ვრცელია. ეს სიტუაცია თავისებურად იწვევს გამოყოფილი დამოუკიდებელი სწავლის საათების საკმარისობისა და შესაბამისი შინაარსის აუცილებელ ასიმინდაციას. კონკრეტულად, მასალის დიდი მოცულობა, საკლასო აქტივობებთან, გამოკითხვის მეთოდებთან და სტუდენტების მთელ შეფასებებთან ერთად, პრაქტიკულად უმართავი ჩანს არსებულ ჩარჩოებში.

**რეკომენდაცია 10:** დეტალურად იქნეს შესწავლილი სასწავლო კურსები, თითოეულ კურსზე ჩამოყალიბდეს მორგებული და შესაბამისი წინაპირობები. დარწმუნდით, რომ წინაპირობები შეესაბამება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ადეკვატურად ამზადებს სტუდენტებს თითოეული კურსის გამოწვევებისთვის.

პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან: დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია 11: შემდეგ კურსებში უფრო ზუსტად იქნეს შეტანილი შედეგთან დაკავშირებული თემატიკა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები: „მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია“; „XX საუკუნის ქართული პოეზია“, „ინგლისური ენა ბიზნესისთვის“, „კორპუს ლინგვისტიკა“, „ფრანგული ენა A1“, „თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა (1960- დღემდე)“ და „მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო“.

პასუხი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან: დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია 12: შეფასდეს პროგრამაში „პრაქტიკის“ კომპონენტის შესაბამისობა. შესაბამისად, განხილულ იქნას მიმდინარე „პრაქტიკის“ კომპონენტის ამოღება პროგრამის ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან სხვა სასწავლო კურსებში პრაქტიკული ელემენტების დახვეწისა და ოპტიმიზაციის მეშვეობით.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პასუხი: შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამის მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტია სავალდებულო სასწავლო კურსი „სტაჟირება“. სილაბუსი ითვალისწინებს ისეთ ორგანიზაციულ საკითხებს, როგორცაა მიმღები ორგანიზაციის თანხმობა პრაქტიკის ფარგლებში, და მიმღებ ორგანიზაციაში შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოს გაწერა სპეციფიკიდან გამომდინარე. გარდა ამისა, პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა თხუთმეტ კომპანიასთან გააფორმა მემორანდუმი. აღნიშნულ პრაქტიკულ ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების შესაბამის რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსის ხანგრძლივობას. პრაქტიკას უძღვება კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც აქვს ყველა საჭირო კომპეტენცია, რათა გაუძღვეს აღნიშნულ კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტში სტუდენტზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ასევე მიმღები ორგანიზაციის კომპეტენტური პირი. შესაბამისად, სტაჟირების პერიოდში სტუდენტის შეფასებაში მონაწილეობს როგორც მიმღები ორგანიზაცია, ასევე ფაკულტეტზე შექმნილი კომისია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კოლეგიური შეფასების ფარგლებში პროგრამაში პრაქტიკის არსებობას მიესალმება და დადებითად აფასებს ყველა კოლეგა - პროფესორი. ისინი აღნიშნავენ: „პროგრამა გთავაზობთ როგორც საბაკალავრო ნაშრომს, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს, რაც შთამბეჭდავი წინადადებაა“; „განსაკუთრებით მისასალმებელია პრაქტიკული კომპონენტი, რადგან, როგორც ვიცი, ქართული უნივერსიტეტები ამ მხრივ არ გამოირჩევიან.“; „პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც დასაფასებელია“. შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს ამ რეკომენდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი: ექსპერტთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ აღნიშნულ კომპონენტს აკლია სიცხადე და ორაზროვანია მისი დანიშნულების მიზანი. პრაქტიკული ასპექტის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტს შეუძლია გააძლიეროს პრაქტიკული ელემენტები პროგრამაში ინტეგრირებული საგნების ფარგლებში. ეს მიდგომა არა მხოლოდ გააძლიერებს სტუდენტების საგნობრივ კომპეტენციებს, არამედ გამორიცხავს ამ კომპონენტთან

დაკავშირებულ ბუნებრივ გაურკვევლობას. გარდა ამისა, სტუდენტები, უმეტეს შემთხვევაში, არ იძენენ ცოდნას, რომელიც შეესაბამება პრაქტიკულ გამოყენებას მემორანდუმის სახით მოწოდებული სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების ფარგლებში.

**რეკომენდაცია 13: პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი კვლევის მეთოდებში, რომელიც შეესაბამება სწავლის დონეს, რათა ეფექტურად განავითაროთ კვლევის უნარები და წარმატებით მიაღწიოთ სწავლის შედეგებს, რომლებიც წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პასუხი: პროგრამა მოიცავს კურსებს, რომლებიც უშუალოდ მიმართულია კვლევითი უნარების განვითარებაზე. მაგალითად, კურსები "აკადემიური წერა", "ინგლისურენოვანი ტექსტების რეფერირება-ანოტირება" და "ინგლისური ენის სტილისტიკა" სრულად უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას და ბაკალავრიატის საფეხურზე საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. გარდა ამისა, ექსპერტების მიერ შემოთავაზებული კვლევის უნარების სასწავლო კურსის, როგორც არჩევითი კურსის დამატება, არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის კომპონენტში. შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ 2.2 ქვესტანდარტში არგუმენტებს. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ, შეიძლება ითქვას, რომ კურსი "ინგლისური ენის სტილისტიკა" უპირატესად ხაზს უსვამს სტილისტიკასთან, პოეზიის/რომანის ანალიზს ან თარგმანთან დაკავშირებულ ასპექტებს მისი ყოველკვირეული თემატიკის ფარგლებში, და ნაკლებად ახდენს კონცენტრირებას კვლევის კომპონენტთან დაკავშირებული უნარების განვითარებაზე. კვლევასთან დაკავშირებული ელემენტების მსგავსი დეფიციტი აღინიშნება კურსებში „ესეს წერა“ და „აკადემიური წერა“. კურსი "ინგლისურენოვანი ტექსტების რეფერირება-ანოტირება" ყოველკვირეულ თემატიკაში უპირველეს ყოვლისა მიმართულია აკადემიური სტატიების, პუბლიკაციების, წიგნების ან ფილმების რეფერირებაზე; შესაბამისად, შედეგებში ნათქვამია, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები განსაზღვრავენ რეზიუმეს, მიმოხილვის ან აბსტრაქტის ფორმალურ მახასიათებლებს და შეძლებენ გაანალიზონ და განაზოგადონ სამეცნიერო ავთენტური ტექსტი, რომელიც, შესაბამისად, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფარგლებში (რეფერირება, განხილვა, ანოტაცია). კურსის მიზანია აკადემიური ნაშრომების ანოტაციის ან განხილვის ტექნიკის და მათი ფორმალური მახასიათებლების სწავლება და მათი გამოყენების უნარების განვითარება. იმის გათვალისწინებით, რომ სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პროგრამის კვლევასთან დაკავშირებულ კომპონენტს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტმა უნდა გამოავლინოს შესაბამისი უნარები, აუცილებელია პროგრამაში ინტეგრირებული იყოს კვლევის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსი, რათა პროგრამისა და მისი კურსების შედეგებს შორის დადგინდეს მკაფიო კავშირი, ნაცვლად იმისა, რომ კვლევითი უნარების განვითარების ელემენტები განაწილდეს სხვადასხვა კურსებზე და სხვადასხვა დონეზე. რეკომენდირებული კურსი იყო არჩევითი კურსების ნაწილში, როგორც ეს მითითებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოწოდებულ ნარატივში, როგორც პოტენციურ ვერსიაში, შესაბამისი ქვესტანდარტის ფარგლებში.

**რეკომენდაცია 14: რეკომენდებულია სწავლების მეთოდის აღწერილობების მორგება კონკრეტული კურსის შინაარსსა და პროგრამის სავარაუდო შედეგებზე დაყრდნობით; სწავლების მეთოდებსა და თითოეული კურსის შედეგებს შორის მეტი სიცხადე და შესაბამისობა.**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პასუხი: ექსპერტების მიერ დასახელებულ სასწავლო კურსებში: „XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია“, „მე-17-18 საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია“, „მე-20 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია“, „მე-19 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია“, „ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ინგლისური ლიტერატურის ისტორია“ და „მე-19 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია“ მოწოდებულია ზეპირი გამოკითხვის სახით, სადაც სტუდენტები ზეპირად განიხილავენ კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ანალიზებენ მის სიუჟეტს, პერსონაჟებს, თემებს, მხატვრულ თავისებურებებს და ისტორიულ კონტექსტს; შემდეგ იმართება მოკლე დისკუსია ლექტორსა და სტუდენტებს შორის კითხვა-პასუხის რეჟიმში კონკრეტულ თემაზე. სემინარზე ზეპირი გამოკითხვა სწავლების სხვა მეთოდებთან ერთად (ლექცია, ნაშრომის პრეზენტაცია/თავდაცვა, შუალედური/ფინალური წერილობითი გამოცდა) ნამდვილად აღწევს კურსის სილაბუსებში ჩამოთვლილ შედეგებს.

გარდა ამისა, სასწავლო კურსში ინგლისური მედიაწიგნიერებისთვის გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია/დავალება, პრეზენტაცია, შუალედური წერილი/ზეპირი გამოცდა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან პრაქტიკულ აქტივობებს, როგორცაა „წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები“. აღნიშნული აქტივობები აღწერილია სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკული აქტივობები ლოგიკურად უკავშირდება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს "FCE 1" და "FCE 2", ისინი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს ენის სხვადასხვა უნარის გაუმჯობესების მიზნით. ესენია წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. სასწავლო კურსი იყენებს შემდეგ მეთოდებს ამ უნარების გასავითარებლად:

კითხვა: წაკითხულის გააზრების სავარჯიშოები, ტექსტის ანალიზი და ლექსიკის აგება; ტერმინოლოგიის ინტეგრაცია (კომპლექსური ტექსტების გაუმჯობესებული გაგება და გაფართოებული ლექსიკა); გრამატიკაზე ფოკუსირების ამოცანები/აქტივობები (გრამატიკული ცნობიერების ამაღლება და ენის სტრუქტურების გამოყენების უნარი)

- წერა: წერილი დავალება (არგუმენტირებული ესე, მოხსენება, ანალიტიკური ნაშრომი და სხვა); წერილისა და ელექტრონული ფოსტის დაწერის პრაქტიკა (კარგად სტრუქტურირებული ესე წერის გაუმჯობესებული უნარი, მოხსენება, ანალიტიკური ნაშრომი და ა.შ.; ფორმალური და არაფორმალური მიმოწერის დაწერის უნარი);

- მოსმენა: ავთენტური მოსმენის დავალებები ( მოსმენის გაგების გაძლიერებული უნარი); ნოუთ-თეიქინგის პრაქტიკა ( ძირითადი ინფორმაციის ამოღების გაუმჯობესებული უნარი)

- საუბარი: როლური სიმულაციები; ჯგუფური დისკუსიები, პრეზენტაციები (გაუმჯობესებული ზეპირი კომუნიკაცია და რეალური სიტუაციების მართვის უნარი); დებატები თანამედროვე/მრავალფეროვან საკითხებზე (საკუთარი აზრის გამოხატვის და დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით სტრუქტურირებულ დისკუსიებში ჩართვის უნარი).

შესაბამისად, ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ დამსაქმებლები სტუდენტებისგან ელიან პრობლემების გადაჭრის ძლიერ უნარებს, რთულ სიტუაციებთან გამკლავების და ეფექტური გადაწყვეტილებების უნარს, არ არის FCE 1 და FCE2 კურსის რელევანტური მიზნები. უნივერსიტეტი არ იზიარებს ამ რეკომენდაციას.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას ქვე-სტანდარტთან დაკავშირებით 2.3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია, ძირითადად ფოკუსირებულია სწავლებაზე და არა შეფასების მეთოდებზე, როგორც ეს

ძირითადად მოცემულია არგუმენტში. სწავლების მეთოდების ზოგადი პრეზენტაცია ქმნის გაურკვეველობას შედეგებსა და შესაბამის აქტივობებს შორის მკაფიო კავშირის დამყარებაში. რეკომენდაციაში „(FCE 1)“ და „(FCE 2)“ მაგალითების სახით ჩართვა ემსახურება განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიმართული სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ურთიერთმიმართების საილუსტრაციოდ. ერთის მხრივ, მოწოდება სწავლების მეთოდებისა და გადმოცემული აქტივობების დეტალური ახსნის შესახებ ხაზს უსვამს სწავლების მეთოდების/აქტივობების უფრო მკაფიო ჩამოთვლის აუცილებლობას ზემოთ ხსენებულ კურსებში ან მინიმუმ პროგრამის დონეზე შესაბამის განყოფილებაში.

**რეკომენდაცია 15: რეკომენდებულია „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის“ თანმიმდევრულად გამოყენება ან საჭიროების შემთხვევაში პლაგიატის საკითხების სხვაგვარად რეგულირება (თუ პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას) - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს ასეთი რეგულაციები შესაბამის დოკუმენტებში და უზრუნველყოს, რომ ისინი ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის.**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პასუხი: უნივერსიტეტში მოქმედი „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის“ მიხედვით რეგულირდება საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების შემოწმების პროცედურები. ამავე წესის მე-6 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, თუ სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში და ნაშრომში პლაგიატი დადასტურდა, დისერტაცია არ ფასდება დადებითი ქულით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს ნაშრომი მომდევნო სემესტრი. აღნიშნული საკითხი შეიძლება დეტალურად/განსხვავებულად დარეგულირდეს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით. გამომდინარე იქიდან, რომ საბაკალავრო ნაშრომი თავისი არსით არ წარმოადგენს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს, აღნიშნული პროცედურა ტარდება – „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს მარეგულირებელ დოკუმენტს. კერძოდ, იმავე სემესტრში საბაკალავრო ნაშრომის წარდგენის უფლება აქვს FX ქულის მქონე სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებთან გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, რომელთა პასუხები შეესაბამება მარეგულირებელ დოკუმენტში („საბაკალავრო ნაშრომი“) აღწერილ პროცედურებსაც და ფაქტობრივ გარემოებებს. ამის საფუძველზე უნივერსიტეტის პლაგიატის პროცედურები რეგულირდება როგორც „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესში“, ასევე სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში განათლების დონის მიხედვით, როგორცაა: „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შევსებისა და შეფასების წესი“, სამაგისტრო პროექტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესები“ და „დოქტორანტურის დებულება“, რომლებიც ემსახურება კონკრეტული საფეხურის სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებას. ამიტომ, კონკრეტული რეკომენდაცია მისი შინაარსიდან გამომდინარე არის რჩევა.

**ექსპერტთა ჯგუფის პასუხი:** ექსპერტთა პანელი ნაწილობრივ არ იზიარებს უმაღლესი სასწავლებლის პოზიციას 2.4-ქვესტანდართან დაკავშირებით. უნივერსიტეტში მოქმედი „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესები“ (შემდგომში „წესი“) ხელს უწყობს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს. წესის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალზე და სტუდენტებზე და ის აწვდის მითითებებს ყველა ჩართულ აქტორს. ამავე წესის მე-6 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, „თუ სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში და ნაშრომში პლაგიატი დადასტურდა,



დისერტაცია არ ფასდება დადებითი ქულით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს ნაშრომი მომდევნო სემესტრში“. ეს წესი იძლევა შესაძლებლობას დარეგულირდეს პლაგიატის საკითხები მე-6 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის პირველი წინადადებისგან განსხვავებით, კერძოდ – პლაგიატის საკითხები „შეიძლება დეტალურად/განსხვავებულად დარეგულირდეს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით“. უმაღლესი სასწავლებლის პოზიცია საბაკალავრო დისერტაციის არსთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ ის არ არის სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი, შეიძლება იყოს მისაღები, ბაკალავრიატის სტუდენტების სწავლის დონისა და უნარების გათვალისწინებით, საკამათოა იმის დაჯერება, რომ სტუდენტს შეუძლია შექმნას ინტელექტუალური ნაშრომი, რომელსაც შეიძლება განვიხილოთ როგორც "სამეცნიერო ნაშრომი". მიუხედავად ამისა, პროგრამა საბაკალავრო ნაშრომს აღიქვამს, როგორც „კვლევას“ და წესების ნორმები შეიძლება იყოს მითითებული. ყოველ შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების კონტექსტში. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის შეფასების და ინდიკატორების ინდექსირებული სისტემა (უარყოფითი ქულები) მართლაც იძლევა შესაძლებლობას FX ქულის მქონე სტუდენტს ხელახლა ჩააბაროს საბოლოო გამოცდა (საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში – საჯარო დაცვა) შედეგების გამოცხადებიდან 1-5 დღეში. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 20 ქულა ხელმძღვანელის შეფასებაში და მინიმუმ 15 ქულა რეცენზენტის შეფასების კომპონენტებში. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა ფასდება 30 ქულით, სადაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 16 ქულა საბოლოო შეფასების კომპონენტის გასაველად. საერთო ჯამში, შეფასების ყველა კომპონენტში მინიმალური ქულით სტუდენტი აგროვებს 51 ქულას, რაც საკმარისია კურსის ასათვისებლად. FX- ის წესის გატარება საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით არარელევანტურია, რადგან ის არ ითვალისწინებს პლაგიატის შემთხვევას და აძლევს მხოლოდ საჯარო დაცვის განმეორებით უფლებას. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში პლაგიატის საკითხის რეგულირება შეესაბამება წესს, სადაც ნათქვამია, რომ „პლაგიატის გამოვლენის ნებისმიერ შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე მიმდინარე სემესტრში“ (გთხოვთ, იხილოთ სილაბუსის ინგლისურენოვანი ვერსიის მე-9 გვერდი). აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განცხადებები არ შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის დებულებებს პლაგიატის შესახებ. წესი და მარეგულირებელი დოკუმენტი („საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი) არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით – ისინი ერთნაირად არეგულირებენ პლაგიატის საკითხებს.

უსდ- ს წესები საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატის შესახებ მართლაც არათანმიმდევრულია და გასაუბრებების დროს ურთიერთგამომრიცხავი პასუხები შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან „სიკეთის აქტად“. ქვესტანდარტი 2.4 უმაღლესი სასწავლებლისგან მოითხოვს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების გამოყენებას. ჩვენ გვჯერა, რომ როდესაც საქმე ეხება პლაგიატს, უმაღლესი სასწავლებელი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, თუ რა მიდგომას აირჩევს იგი (მკაცრს თუ რბილს) სხვადასხვა აკადემიური საფეხურის, საგანმანათლებლო პროგრამების და ა.შ. სტუდენტების მიმართ. რაც უფრო მაღალია სწავლის საფეხური, მით უფრო მკაცრი მიდგომის გამოყენება შეიძლება. იმ პირობით თუ უსდ უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პლაგიატის პრევენციას, უნივერსიტეტი

თავისუფალია გამოიყენოს ნებისმიერი შესაბამისი ზომა პლაგიატის საკითხების რეგულირებისას. უნდა აღინიშნოს, რომ არაერთგვაროვან მიდგომას შეიძლება თავისი რისკები ჰქონდეს, რადგან ზოგიერთი სტუდენტი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს „სიკეთის აქტს“ და გადაწყვეტილების მიღება მთლიანად უმაღლეს სასწავლებელს ეკისრება. არსებული წესები ან უნდა იყოს ერთიანი, ან უსდ-მ უნდა შემოიღოს რეგულაციები, რომლებიც სხვანაირად დაარეგულირებს პლაგიატის საკითხებს საბაკალავრო ნაშრომისთვის. უფრო მეტიც, თუ დაწესებულება არ დაიცავს თავის წესებს, საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მარეგულირებელი დოკუმენტები კარგავს აზრს, რაც ნიშნავს, რომ 2.4.სტანდარტის მოთხოვნები არ იქნება სრულად დაკმაყოფილებული. ჩვენ მოვუწოდებთ უსდ-ს გადაწყვიტოს რა მიდგომას მიიღებს ბაკალავრიატის სტუდენტების მიმართ და შემოიღოს ის ნორმები, რომლებიც ნამდვილად მისცემს მათ შესაძლებლობას ხელახლა გაატარონ ნაშრომი პლაგიატზე კიდევ ერთხელ შესამოწმებლად, რაც შეესაბამება უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას და სტუდენტების განცხადებებს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ისინი ითვალისწინებენ სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას და გარკვეულწილად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

ნაწილობრივ გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები. შრომის ბაზრის პოტენციური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომელიც მოიცავდა დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასებას. თუმცა, ეს დამსაქმებლები არ არიან მთავარი დაინტერესებული მხარეები ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, რაც არ გვამღევეს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველ სურათს. შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენდა. გასაუბრებების დროს უსდ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მხოლოდ ადგილობრივ შრომის ბაზარზე ორიენტაციის საფუძველი არის სწავლების ენა, ანუ ქართული ენა ინგლისური კომპონენტით. ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების შესრულების უზრუნველსაყოფად, უსდ-მ უნდა შექმნას პოტენციურ დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმი.

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს გაცვლითი პროგრამები პარტნიორ დაწესებულებებთან. კერძოდ, თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების მიღებას გაცვლითი პროგრამების საშუალებით. უსდ გთავაზობს

ინგლისურენოვანი კურსების ჩამონათვალს მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის. თუმცა, უცხოელი სტუდენტები, რომლებმაც არ იციან ქართული, ვერ შეძლებენ სასწავლო პროგრამაში სრული დატვრთვით ჩართვას. სასურველია უსდ-მ გაზარდოს ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, და არ შემოიფარგლება მხოლოდ მობილობით გადმოსული სტუდენტებით.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მოიცავს ხუთ ძირითად მიზანს, რომელიც ორიენტირებულია ინგლისური ფილოლოგიის, ბრიტანული და ამერიკული კულტურისა და ლიტერატურის ყოვლისმომცველ გააზრებაზე. ეს მიზნები მოიცავს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას, მეორე უცხო ენის შესწავლას, ენობრივი ან ლიტერატურული ასპექტების შესაბამისი მასალების კვლევისა და კრიტიკული ანალიზის უნარის გამომუშავებას, ეთიკური პრინციპების განვითარებას, რაც აუცილებელია პროფესიული ქცევისთვის ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, და ცოდნის გაღრმავებას, უნარების დახვეწასა და პროფესიული წინსვლისკენ მუდმივ სწრაფვას (პროგრამა, გვერდი 2). ეს მიზნები მეტწილად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამის სასწავლო კურსების მოსალოდნელ შედეგებს.

პროგრამა მოიცავს შესავალ კომპონენტებს, როგორცაა "შესავალი ენათმეცნიერებაში", "შესავალი ლიტერატურისმცოდნეობაში" და "შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში", ასევე დარგის სპეციფიკურ კურსებს, როგორცაა "ბრიტანულ- ამერიკული ენა და კულტურა", "ინგლისური ენის ლექსიკოლოგია" და "ინგლისური ენის უნარები" 1,2,3,4, FCE 1,2 კურსები და ა.შ. ეს კურსები ასახავს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს და შეესაბამება სწავლის დონეს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მხოლოდ რამდენიმე ძირითადი კურსი ვერ მისცემს სტუდენტებს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს ფართო ცოდნას, მათ შორის ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ბრიტანული და ამერიკული კულტურისა და ლიტერატურის თავისებურებების შესახებ და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, როგორც ეს პროგრამის მიზნებშია აღწერილი;

პროგრამის განსაზღვრული მიზნები ასახავს დარგთან დაკავშირებულ ცოდნას. იგი მოიცავს თეორიულ კურსებს, კერძოდ, "ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა", "დიდი ბრიტანეთის ისტორია და გეოგრაფია", "ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა" და "ინგლისური ენის ისტორია". გარდა ამისა, პროგრამა ხაზს უსვამს უნარების განვითარების ასპექტებს, განსაკუთრებით პრაქტიკულ კურსებში, როგორცაა "ესეს წერა", "ტექსტის ანალიზი" და "ინგლისური ენის უნარები" 1,2,3,4. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამს კომპეტენციების განვითარებას პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების საშუალებით, როგორცაა "ინგლისური ტექსტების მიმოხილვა და მითითება" და „ტექსტის ანალიზი“.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს იმ აუცილებელი უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია ადგილობრივი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ის, ასევე, სტუდენტებს ამზადებს შემდგომი აკადემიური საქმიანობისთვის სწავლის შემდეგ საფეხურზე, რომელიც მოიცავს სამაგისტრო პროგრამებს და მასწავლებელთა მომზადების ერთწლიან კურსებს. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია, გამოიყენონ თავიანთი კომპეტენციები და შესაძლებლობები პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში და განიცადონ კარიერული წინსვლა. საბოლოო ჯამში, ეს მრავალმხრივი მომზადება ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, მორალურ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (თვითშეფასების ანგარიში გვ.6).

დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ცხადი ხდება, რომ პროგრამა ცდილობს სტუდენტები განათლების უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს და მისცეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება. ეს მიიღწევა იმით, რომ სტუდენტები ეუფლებიან მინიმუმ B2 დონეს ინგლისურ ენაში, B1 დონეს სხვა უცხო ენაში და იღრმავებენ კომუნიკაციურ და ინგლისურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს (თვითშეფასების ანგარიში, გვ.7).

პროგრამის მიზანია შესაბამისობაში იყოს უნივერსიტეტის მისიასთან, რაც ხასიათდება შემდეგი ძირითადი ელემენტებით:

ცოდნის შექმნა და გავრცელება: უნივერსიტეტის მიზანია ჰუმანიტარული, სოციალური და ფუნდამენტური მეცნიერებების სფეროებში ცოდნის შექმნა და გავრცელება. ეს მიიღწევა მაღალმოტივირებული ახალგაზრდა მკვლევარებისა და გამოცდილი პრაქტიკოსი პროფესიონალების ერთგული ძალისხმევით. ამას მხარს უჭერს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური, ასევე არამატერიალური რესურსები. შედეგი აისახება საგანმანათლებლო პროდუქტების ფართო მასშტაბში, როგორც ტრადიციულ, ისე ინოვაციურ მიდგომებში.

სასწავლო და კვლევითი გარემოს ხელშეწყობა: უნივერსიტეტი ცდილობს შექმნას გარემო, რომელიც ავითარებს თავისუფალ და შემოქმედებით აზროვნებას. ეს გარემო ინდივიდებს აძლევს შესაძლებლობას მოახდინონ თავიანთი მაქსიმალური პოტენციალის რეალიზება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ტრანსფორმაციას (უნივერსიტეტის მისია).

პროგრამის განვითარების კონტექსტში, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გაჩნდა კითხვა პროგრამაში ინტეგრირებულ ინოვაციურ ასპექტებთან დაკავშირებით. მათი პასუხების მიხედვით, პროგრამის ინოვაციური ელემენტები, პირველ რიგში, წარმოდგენილია ონლაინ ლექციების სახით. გარდა ამისა, გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა გაიარა ტრენინგები, რომლებიც ორიენტირებული იყო ონლაინ და ჰიბრიდულ სწავლების მეთოდოლოგიაზე, რადგან პანდემიის დროს უსდ-ს ონლაინ სწავლებაზე გადასვლა მოუწია. ამჟამად, ყველა კურსი ტარდება აუდიტორიებში, მაგრამ უცხოეთში მცხოვრები პარტნიორი ინსტიტუტების პროფესორებს ექნებათ ლექციების ონლაინ წაკითხვის შესაძლებლობა.

მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი და გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, შრომის ბაზრის ანალიზი ავლენს მოთხოვნას ინგლისური ენის მასწავლებლებზე სხვადასხვა დონეზე, 23 ორგანიზაციიდან 14 მოითხოვს ასეთ პროფესიონალებს. გარდა ამისა, სამ ორგანიზაციას ესაჭიროება თარჯიმანი (შრომის ბაზრის ანალიზი გვ.11). შრომის ბაზრის ანალიზი ასევე მიუთითებს, რომ სტუდენტები დაინტერესებულნი არიან პედაგოგიკის მიმართულებით. თუმცა, პროგრამა გვთავაზობს მხოლოდ ერთ კურსს, რომელიც უშუალოდ ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიას ეძღვნება, და თარგმანთან დაკავშირებულ სამ არჩევით კურსს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა, ძირითადად ორიენტირებულია ინგლისურ ფილოლოგიაზე და დონეების მიხედვით არის სტრუქტურირებული, და არ არის ორიენტირებული თარგმანზე ან პედაგოგიკაზე. თუმცა, ის მოიცავს ამ ასპექტების შემცველ კურსებს.

პროგრამა გამოირჩევა სხვადასხვა ელემენტების ინტეგრირებით, მათ შორის ლიტერატურა ("XVII- XVII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია", "მე-20 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია"), ლინგვისტიკა ("შესავალი ენათმეცნიერებაში", "კორპუს ლინგვისტიკა"), თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ("თარგმანის თეორია და პრაქტიკა") და კურსები წერის უნარების გასაუმჯობესებლად ("აკადემიური წერა", "ინგლისური ტექსტების მიმოხილვა და მითითება", "ესეს წერა"). შინაარსის ეს მრავალფეროვანი სპექტრი ხაზს უსვამს პროგრამის თავისებურებას.

შრომის ბაზრის ანალიზი აჩვენებს მაღალ მოთხოვნას ინგლისურ ფილოლოგიაში გამოცდილების მქონე კურსდამთავრებულებზე. მასში წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტების მაგალითები, რომლებიც აფართოებენ ინგლისურ ფილოლოგიურ პროგრამებს ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაუბრების დროს განაცხადეს, პროგრამის სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი არის გადამწყვეტი ელემენტი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ კურსდამთავრებულები მზად არიან შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ინგლისური ენის ცოდნით და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გამოყენების უნარებით (თვითშეფასების დოკუმენტი, გვ.7, გასაუბრების შედეგები). იმ სტუდენტებისთვის, ვისი ცოდნის დონე დაბალია, უსდ სთავაზობს ინტენსიურ კურსებს, რათა მათ შეძლონ B1 დონის მიღწევა პირველი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს. უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც მოიცავს საერთაშორისო პროექტების გეგმებს, სტუდენტთა და პერსონალის გაცვლით პროგრამებს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სტუდენტთა მონაწილეობის წახალისებას (თვითშეფასების დოკუმენტი, გვ.8). გასაუბრებების დროს ეს სტრატეგიული ინიციატივები კიდევ ერთხელ დაადასტურა პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა, უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი IR პროგრამის მიმდინარე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

პროგრამის სწრაფვა ინტერნაციონალიზაციისკენ ვლინდება რამდენიმე ასპექტით:

მემორანდუმი საერთაშორისო ორგანიზაციებთან: პროგრამამ გააფორმა ხელშეკრულებები 20 საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რაშიც ვლინდება მისი სურვილი ხელი შეუწყოს საერთაშორისო პარტნიორობას. ეს მემორანდუმები მოიცავს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროებში.

საერთაშორისო პერსონალის ჩართულობა: ინტერნაციონალიზაცია ასევე ვლინდება საერთაშორისო პერსონალის ჩართულობაში, განსაკუთრებით ენობრივ უნარებზე ორიენტირებულ კურსებში, როგორცაა „FCE“ 1 და 2.

მობილობით გაცვლითი პროგრამები: პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფორმულირებით, პროგრამა გეგმავს საერთაშორისო სტუდენტების მიღებას გაცვლითი პროგრამების საშუალებით.

პროგრამა, როგორც თავდაპირველად იყო წარდგენილი აკრედიტაციის ექსპერტთა პანელისთვის, საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ამასთანავე, ამ ჩართულობას ადასტურებს უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ჩანაწერები.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და/ან სტრუქტურული ერთეული;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ოქმები;

- ვებგვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, რათა პროგრამის მიზნები მიღწევადი იყოს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების და საჭიროებების და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ტენდენციების დაკმაყოფილება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- უსდ- მ უნდა გაზარდოს ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაში მითითებულია, რომ სწავლის ერთ- ერთი შედეგი არის ფილოლოგიის ძირითადი პრინციპების, მოვლენების, ცნებების, თეორიებისა და მეთოდების აღწერა და სწავლის შედეგები დაკავშირებულია კურსებთან. თუმცა, კურსებს "ენათმეცნიერების შესავალი", "ინგლისური ენის ლექსიკოლოგია" მხოლოდ 3 ECTS აქვს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უსდ-მ მეტი ECTS უნდა გამოყოს ამ ძირითადი ლინგვისტური კურსებისთვის. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი რეკომენდაციები 1.4- ში)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ენის ცოდნის სფეროში. ეს შედეგები მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.

პროგრამის მიზნები მოიცავს ხუთ ძირითად ასპექტს. ისინი მიზნად ისახავს ინგლისური ფილოლოგიის შესახებ ყოველმხრივი ცოდნის შეძენას, კომუნიკაციის უნარების განვითარებას, მეორე უცხო ენის შესწავლას, დარგის სპეციფიკური მასალების კვლევისა და კრიტიკული ანალიზის უნარის შეძენას და ეთიკური პრინციპების დაცვას ინგლისური ფილოლოგიის პროფესიულ პრაქტიკაში (პროგრამა, გვ.2). აღნიშნული მიზნები დაკავშირებულია პროგრამის მოსალოდნელ შედეგებთან. ეს კავშირი აშკარად ჩანს პროგრამის თხრობაში, რომელიც ხაზს უსვამს იმას, თუ რას უნდა ფლობდნენ კურსდამთავრებულები ცოდნის, მოვლენების, პრინციპების, კონცეფციების, თეორიებისა და ფილოლოგიური მეთოდების თვალსაზრისით. იგი ასევე ხაზს უსვამს ინგლისური ენის ცოდნას B2+ დონეზე სხვადასხვა მიზნებისთვის, ზოგადიდან სპეციალიზებულ სიტუაციებამდე, რთულ და მოულოდნელ გარემოებებშიც კი.

თუმცა, პროგრამისა და სილაბუსების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, შედეგი C და ენის B+ დონეზე ცოდნა არ ჩანს რეალისტური. უდმ- მ ზუსტად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და ინგლისური ენის B2+ დაპირებული დონის ნაცვლად, უნდა დასახოს რეალისტური შედეგი „იყენებს ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) მინიმუმ B2 დონეზე“.

A და B შედეგები პირდაპირ კავშირშია პროგრამის A და B მიზნებთან. შედეგი D მიუთითებს, რომ პროგრამის აქცენტი მეორე უცხო ენის ათვისებაზე შეესაბამება C მიზანს. ლიტერატურული და ლინგვისტური ნაწარმოებების ანალიზისა და მათი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრაში გამოყენების უნარი, პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისი ტექსტების ფორმულირება და გადაცემა, საბაკალავრო ნაშრომის დასრულება და თეორიული ცოდნის დანერგვა პრაქტიკულ პროექტებში ინგლისური ფილოლოგიის დარგში, როგორც ეს E, F და G შედეგებში წარმოდგენილი, დაკავშირებულია D მიზანთან. გარდა ამისა, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ასპექტი უკავშირდება E მიზანს (პროგრამა, გვ.2-3). პროგრამის შედეგებსა და მიზნებს შორის ეს ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს იმას, რომ კურსდამთავრებულები აღჭურვილი არიან იმ საჭირო ცოდნით, უნარებითა და ეთიკური პრინციპებით, რომლებიც გამომარჩევს მათ ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, ამავედროულად ხელს შეუწყობს მათ პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.

პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად ინტეგრირებულია სასწავლო გეგმაში. მაგალითად, შედეგი A შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული ისეთ კურსებთან, როგორცაა "დიდი ბრიტანეთის ისტორია და გეოგრაფია", "ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა" და "შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში". ანალოგიურად, შედეგი C დაკავშირებულია კურსებთან, რომლებიც ორიენტირებულია ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე, მათ შორის "ინგლისური ენის უნარები" 1, 2, 3 და 4. პროგრამის შედეგებსა და სასწავლო კურსების შინაარსს შორის ეს



თანხვედრა შედეგებს რეალისტურს, მიღწევადს და გაზომვადს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ კურსების უმეტესობას გააჩნია საკმარისი კრიტერიუმები პროგრამის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კურსს არ აქვს შეფასების აუცილებელი კრიტერიუმები, რათა სრულად დააკმაყოფილოს შედეგების მიღწევის მოთხოვნები. ზემოაღნიშნული თემა დეტალურადაა განხილული ქვესტანდარტში 1.5, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კურსისთვის „ენათმეცნიერების შესავალი“ მხოლოდ სამი კრედიტია გამოყოფილი. ეს კურსი არის ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი კურსი, რომელშიც განიხილება მორფოლოგიის, სინტაქსის, ფონეტიკის, ფონოლოგიის, სემანტიკის სფეროებთან დაკავშირებული ფუნდამენტური პროცესები. სასურველი შედეგის მიღწევა მხოლოდ 3 ECTS- ით შეუძლებელი იქნება. ეს განაწილდა E შედეგზე დაყრდნობით, რომელიც კურსდამთავრებულებისგან მოითხოვს ლიტერატურული და ლინგვისტური ნაწარმოებების გაანალიზებას ლიტერატურული კვლევებისა და ლინგვისტური მეთოდების გამოყენებით პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. ეს მიდგომა შეესაბამება პროგრამის სასწავლო კურსების დონეს.

პროგრამა შექმნილია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად დარგთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპონენტების ჩართვით. იგი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტს, რომელიც გათვალისწინებულია როგორც საკვლევი/ პრაქტიკული ნაშრომი. კურსების ფარგლებში პროგრამა მოიცავს ლინგვისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას და თარგმანის ასპექტებს. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტები სამიზნე ენის ან ენების საფუძვლიანი ცოდნით და შესაბამისი კულტურული და სოციალური კონტექსტის გააზრებით, რომელიც მოიცავს ლიტერატურას, ისტორიას, კულტურას ან ფილოსოფიას. ეს მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს VI და VII საფეხურებისთვის (დოკ. ენის ცოდნის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, უმაღლესი განათლების I და II ციკლები, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VI და VII დონეები, გვ. 5-6).

პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს (იხ. 1.4) და საშუალებას აძლევს მათ გააგრძელონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ უსდ- მ კითხვარი დაურიგა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის სხვადასხვა პოტენციურ დამსაქმებელს და მათი უკუკავშირი გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავებისას. კურსდამთავრებულები, სწავლის გაგრძელებას სწავლის შემდეგ საფეხურზე შეძლებენ.

როგორც ქვესტანდარტში 1.1 არის აღნიშნული, პროგრამა ყურადღებას ამახვილებს შრომის ბაზრის ძირითად მოთხოვნებზე. მისი უპირველესი მიზანია კურსდამთავრებულების აღჭურვა საჭირო ცოდნითა და უნარებით, რათა დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები.

მოწოდებულმა დოკუმენტებმა და გასაუბრებების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის განვითარებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობდა პროგრამის შედეგების ჩამოყალიბებაში. გასაუბრებების დროს დამსაქმებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მათი წინადადებები და ინიციატივები და პროგრამაში თარგმანთან და სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული კურსები დანერგა, განსაკუთრებით ისინი, რომელიც პრობლემის გადაჭრის ასპექტებზეა ორიენტირებული; ეს ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მზაობას გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მისაღებად. პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი სწავლების მეთოდოლოგიების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის ხედვა განხილულია ქვესტანდარტში 2.2.

გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ინფორმირებული იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ. დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური და მოწვეული

პერსონალის აქტიური მონაწილეობა დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციით, კონკრეტულად ოქმი N 06-23.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და სასწავლო გეგმის რუკა;
- სწავლის შედეგები მიზნობრივი ნიშნები და შეფასების გეგმა;
- ენის ათვისების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, უმაღლესი განათლების I და II ციკლები, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VI და VII საფეხურები;
- ოქმი N 06-23;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვებგვერდი;

**რეკომენდაციები:**

- გადაიხედოს სწავლის შედეგი “C” ვინაიდან პროგრამის რეალისტური შედეგი იქნებოდა „იყენებს ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) მინიმუმ B2 დონეზე“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თავისი რეგულაციებისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები მიჰყვებიან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მკაფიო პროტოკოლს. შეფასების ყოველმხრივი ხედვის მისაღებად, შეფასების ჯგუფი სათანადოდ არის ორგანიზებული, მის წევრებს აქვთ განსხვავებული როლები. მეთოდები, მათ შორის რეგულარული პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, ძალიან ეფექტურია. უკუკავშირის სქემები ადეკვატური და კარგად შემუშავებულია.

გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ყველა შესაბამისი მხარე ადეკვატურად იყო ინფორმირებული და ჩართული შეფასების პროცესში. ზოგად პროცესში საკუთარი როლების აღწერის გარდა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გამოხატა მზაობა თავიანთი უნარების შემდგომი განვითარებისთვის. პროგრამის სფეროს შესაბამისი პერიოდულობით ხდება სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასება. სათანადოდ არის გათვალისწინებული სასწავლო სფეროს თავისებურებები და განათლების დონე. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო და გარკვეულწილად გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ ყველა შესაბამისი მხარე ინფორმირებული და ჩართული იყო შეფასების პროცედურებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმირებულები იყვნენ ამ პროცესის შესახებ, რომელიც მათთვის ნათელი და გასაგები იყო.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების პროცედურის“ დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და სწავლის შედეგების შეფასება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ყოველწლიურად ხდება. სავალდებულო კურსებზე შეფასება ტარდება ყოველ სემესტრში, როგორც ეს პროგრამის მოთხოვნებში არის განსაზღვრული („ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა“, გვ.7- 8). სასწავლო კურსებში პროგრამა იყენებს პირდაპირი შეფასების სხვადასხვა მეთოდს. ეს მეთოდები მოიცავს შეფასების შუალედურ და საბოლოო კრიტერიუმებს და ისეთ აქტივობებს, როგორიცაა პრეზენტაციები, დახურული და ღია კითხვები და წერიტი და ზეპირი გამოცდის ფორმები. გარდა ამისა, პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება ტარდება პროგრამის გარე შეფასებებით ისეთი დაწესებულებების მიერ, როგორიცაა ვარშავის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასებაში. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია და გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩატარდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პედაგოგებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. დაინტერესებულ პირთა გამოკითხვას ხარისხის სამსახური ატარებს ყოველ ექვს თვეში ერთხელ და ყოველწლიურად. გამოკითხვა ანონიმური

იყო და ეხებოდა პროგრამის სტრუქტურასა და მის კომპონენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის და, შესაბამისად, სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად. პროცედურულად, გამოკითხვაში დაინტერესებული მხარეების კომენტარების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტი შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც შემდგომ განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შესაბამისი მოხსენება წარედგინება აკადემიურ საბჭოს. თავის მხრივ, საბჭო რეკომენდაციების საფუძველზე ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელშიც განსაზღვრულია გაუმჯობესების სფეროები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და ვადები.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტი „ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიზნები და შეფასების გეგმა“ გვთავაზობს პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილ მიმოხილვას, მათ შესაბამისობას კონკრეტულ კურსებთან, სამიზნე ჯგუფებთან და შესაბამის სემესტრებთან. ამ დოკუმენტის მიხედვით, ECTS- ის შეფასების (რეიტინგის) სკალა პროგრამის სწავლის შედეგებს ემსახურება. ამ სკალის მიხედვით, სტუდენტების სწავლის შედეგის საბოლოო დადებითი შეფასება ნაწილდება შემდეგნაირად: 10% იღებს A შეფასებას, 25% იღებს B შეფასებას, 30% იღებს C შეფასებას, 25% იღებს D შეფასებას და დარჩენილი 10% იღებს E შეფასებას (გვ.3).

პროგრამის შედეგები, როგორც გასაუბრებების დროს ითქვა, გააცნეს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს. ეს დადასტურდა დოკუმენტში ჩაწერილი ოქმით N 07- 23, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომასთან. დოკუმენტი აჩვენებს, რომ პროგრამის შედეგები გაზიარებული და განხილული იყო შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების გამჭვირვალობას და თანამშრომლობას და შესაბამისობას აკადემიურ და სამეცნიერო მიზნებთან.

გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს დახმარებას იმ უნარების განვითარებაში, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის. უსდ რეგულარულად აწყობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის სხვადასხვა სახის სემინარებს, ვორქშოფებს, ტრენინგებს, რომლებიც უკავშირდება ზემოაღნიშნული უნარების განვითარებას. თვითშეფასების ანგარიშში ნახსენები იყო და გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ უსდ აცნობს დაინტერესებულ მხარეებს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. კერძოდ, ხარისხის სამსახური ყოველ ექვს თვეში ერთხელ და ყოველწლიურად ატარებს დაინტერესებულ პირთა გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის და, შესაბამისად, სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად. პროცედურულად, გამოკითხვაში დაინტერესებული მხარეების კომენტარების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტი შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც შემდგომ განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შესაბამისი მოხსენება წარედგინება აკადემიურ საბჭოს. თავის მხრივ, საბჭო რეკომენდაციების საფუძველზე ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელშიც განსაზღვრულია გაუმჯობესების სფეროები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და ვადები.

უსდ-ს აქვს მექანიზმები, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსი და/ ან სწავლის შედეგები ან/ და შეფასების სისტემა და/ ან სწავლების რესურსები შეიცვლება და განვითარდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა“;
- „ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიზნები და შეფასების გეგმა“;
- დოკუმენტაცია უცხოელი ექსპერტების გარე შეფასების შესახებ;
- ოქმი N 07-23;
- ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
1.3 პროგრამის X სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამა იცავს საქართველოს საკანონმდებლო სტანდარტებით დადგენილ რეგულაციებს და შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). აღსანიშნავია, რომ პროგრამა მორგებულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მოთხოვნებს, რაც ასახავს კომპლექსურ ბალანსს სასწავლო გეგმის შინაარსსა და სირთულეს შორის.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის დებულება შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს. პროგრამა სტრუქტურა მოიცავს სულ 240 ECTS კრედიტს, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად:

24 ECTS - საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები;

24 ECTS- მეორე უცხო ენის კომპონენტი;

1. გერმანული/ფრანგული/რუსული A1;
2. გერმანული/ფრანგული/რუსული A2;
3. გერმანული/ფრანგული/რუსული B1.1;
4. გერმანული/ფრანგული/რუსული B1.2;

138 ECTS - სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსები;

54 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები 30 ECTS მოცულობით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამების არჩევითი კურსები 24 ECTS მოცულობით.

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტები ინგლისური ენის სავალდებულო გამოცდის შედეგების საფუძველზე ნაწილდებიან კლასებში, რაც განსაზღვრავს მათი ენის ცოდნის დონეს. ეს ტესტი ყველა სტუდენტს უტარდება და გადამწყვეტია სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის კლასიფიკაციისთვის. ამ ტესტის შედეგების მიხედვით, სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის ცოდნის შემდეგ საფეხურებზე:

1. ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
2. ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
3. ინგლისური ენა (B1.2) – 62-71 ქულა
4. ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
5. ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

უნივერსიტეტში განაცხადის მიღების პროცესში სტუდენტები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო სერთიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას შესაბამის დონეზე, თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო კურსის მოთხოვნიდან. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურით უცხო ენისთვის გათვალისწინებული 24 კრედიტი არჩევითი კურსებით უნდა შეივსოს.

კერძოდ, სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ B2 დონის ან ალტერნატიული სერთიფიკატები, მათ შორის FCE, IELTS (5.5- 6.5), TOEFL Paper (513- 547), TOEFL CBT (183- 210) და TOEFL IBT (65- 78), შეუძლიათ გათავისუფლდნენ ინგლისური ენის კურსიდან.

პროგრამის აღწერაში შენიშნება TOEFL IBT- თან დაკავშირებული უზუსტობა, რომლის გამოსწორება მნიშვნელოვანია: არასწორად არის მითითებული B2 დონის კომპეტენციის ტესტის ქულა; ის უნდა იყოს 72- 94, და არა 65- 78, როგორც თავდაპირველად იყო მითითებული. ეს კორექტირება უზრუნველყოფს სიზუსტეს და სიცხადეს პერსპექტიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უფლება აქვთ გათავისუფლდნენ ენის ცოდნის სერთიფიკატების საფუძველზე.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები, ძირითადად შეესაბამება სწავლების დონეს. პროგრამა მოიცავს პროგრამის მიზნის შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს (იმისთვის, რომ მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებული დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით.

კრიტიკული დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა კურიკულუმში ასახული კომპეტენციაზე ორიენტირებული საგნების კრედიტებისა და დანიშნული საგნების საერთო რაოდენობის ხელახალი შეფასების აუცილებლობა, რადგან ისინი ხელს შეუშლიან პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამის საპასუხოდ, რეკომენდებულია სასწავლო გეგმის მთლიანად გადახედვა, კრედიტების შედარებით დიდი რაოდენობის მინიჭება ისეთი ძირითადი კომპეტენციის ასამაღლებელ საგნებზე, როგორცაა "შესავალი ენათმეცნიერებაში", "ინგლისური ფილოლოგიის შესავალი", "შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში" და ა.შ.

პროგრამის კურსებს გააჩნიათ წინაპირობები შემდეგ კომპონენტებზე გადასასვლელად. გასაუბრების დროს ექსპერტთა პანელმა ჰკითხა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წინაპირობების შესახებ, კონკრეტულად მე-4 დონეზე (B2.2) ინგლისური ენის ცოდნის წინაპირობაზე კურსისთვის „ქართული ენის სტილისტიკა“. ამ შეკითხვის პასუხად აკადემიურმა პერსონალმა განაცხადა, რომ კურსი მოიცავს სავალდებულო ლიტერატურას ინგლისურ ენაზე. კურსის სწავლის შედეგების წარმატებით მისაღწევად, ამ ლიტერატურასთან გასაცნობად სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ინგლისური ენის ცოდნა B2.2 დონეზე.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს სტუდენტების, როგორც პერსპექტიული ინგლისური ენის ფილოლოგების, ცოდნის დახვეწის მნიშვნელობას, რაც მოითხოვს საგნის „ინგლისური ენის სტილისტიკა“ ჩართვას ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში. ეს შესწორება არსებითია შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სტუდენტებმა გაიგონ ინგლისური ენის სპეციფიკა, რაც გააძლიერებს მათ, როგორც მომავალი პროფესიონალების, კომპეტენციებს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.

პროგრამის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებმა ბაკალავრიატის მერვე სემესტრში უნდა შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი, რითაც წარმატებით დააგროვებენ 12 კრედიტს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან კვლევის ზოგიერთ ტექნიკას, აღსანიშნავია, რომ სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსი, აკადემიური წერა, სხვა აკადემიურ მიმართულებებში შედის. კვლევასთან დაკავშირებული ასპექტები განხილულია ქვესტანდარტში 2.2.

ინგლისურ ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, პროგრამაში უნდა იყოს ჩართული სპეციალიზებული კურსი სახელწოდებით "აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის". ეს სტრატეგია მიზნად ისახავს სტუდენტების კომპეტენციების განმტკიცებას და მათ აღჭურვას საჭირო ცოდნითა და უნარებით, რომლებიც სპეციფიკურია აკადემიური წერის მოთხოვნებისთვის ინგლისური ფილოლოგიის სფეროში. მოსალოდნელია, რომ ეს მიდგომა ხელს შეუწყობს უფრო კონცენტრირებულ და მორგებულ სასწავლო გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური წერის ცოდნის ყოველმხრივ განვითარებას მათი სასწავლო სფეროს განსაკუთრებული მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული პროგრამის საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში დამატებული დამოუკიდებელი 6- კრედიტიანი „პრაქტიკის“ კომპონენტის მოსალოდნელი მიზანი არ არის სავსებით ნათელი. ამ კომპონენტის განზოგადებული ბუნება მას ბუნდოვანს ხდის იმ სპეციფიკური პრაქტიკული გამოცდილების კუთხით, რომელიც სტუდენტებმა უნდა მიიღონ. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიუთითებს სტუდენტის მიერ ინგლისური ფილოლოგიის ფარგლებში პრაქტიკის საგნის ფუნდამენტური ასპექტების გააზრებაზე, აგრეთვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაციაზე დანიშნულ პრობლემურ კონტექსტში.

თუმცა, აუცილებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკის პოტენციური ობიექტები, მათ შორის სკოლები, ენის ცენტრები და მსგავსი დაწესებულებები, ამჟამად არ არის ინტეგრირებული უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში, რაც იწვევს ამგვარი პრაქტიკული ჩართულობისთვის მზაობის ნაკლებობას. ეს შეუსაბამობა კიდევ უფრო შესამჩნევია ისეთი ძირითადი სასწავლო კურსების არარსებობით, როგორცაა სწავლების მეთოდები და საგანმანათლებლო ფსიქოლოგია, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ სტუდენტებს შევძინოთ საჭირო კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია პოტენციურ პრაქტიკაში ჩართვისთვის.

ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია „პრაქტიკის“ კომპონენტის, ასევე პრაქტიკულ ჩართულობაზე მორგებული შესაბამისი სასწავლო კურსების სტრატეგიული ინტეგრაციის ყოველმხრივი მიმოხილვა და გადახედვა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების შესაბამისობას თანამედროვე დასაქმების ბაზრის განვითარებად მოთხოვნებთან და შესძენს სტუდენტებს აუცილებელ უნარებსა და ცოდნას, რომლებიც საჭიროა პროფესიული პრაქტიკისთვის ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი;



- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- მემორანდუმები;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდირებულია:

- საგანი „ინგლისური ენის სტილისტიკა“ უნდა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი ძირითადი დარგის ფარგლებში, რაც გაამდიდრებს სასწავლო გეგმას და შესძენს სტუდენტებს ლინგვისტური და სტილისტური ელემენტების ყოვლისმომცველ ცოდნას.
- გადაიხედოს არსებული საგანი „აკადემიური წერა“ და შეიცვალოს უფრო მორგებული და სპეციფიკური კურსით სახელწოდებით „აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის“, რაც უფრო შეესაბამება სტუდენტების სპეციალიზებულ აკადემიურ საჭიროებებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია ჩატარდეს B2 დონის სერტიფიკატის ქულების საფუძვლიანი მიმოხილვა და აუცილებელი კორექტირება (TOEFL IBT), რაც უზრუნველყოფს ენის ცოდნის დადგენილ სტანდარტებთან სიზუსტეს და შესაბამისობას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი შედეგებიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ შემოთავაზებული კურსები ძირითადად ემთხვევა პროგრამის მოსალოდნელ მიზანს. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული კურსის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო ხარისხის ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

ზოგადად, არსებობს ლოგიკური კავშირი პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების შინაარსსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის. მაგალითად, განვიხილოთ კურსი "ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა". ამ კურსის სწავლის შედეგები მოიცავს ბრიტანული და ამერიკული კულტურის ძირითადი ასპექტების გაგებას, მათ შორის სოციალურ ნორმებს (როგორცაა ოჯახი და გენდერული როლები), დღესასწაულებსა და ფესტივალებს, დასასვენებელ აქტივობებს, სპორტს და ხელოვნებას. კურსის შინაარსი შეესაბამება ამ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ სასურველი ცოდნა და შეხედულებები ბრიტანული და ამერიკული კულტურის, მათ შორის ზემოთ ხსენებული ასპექტების შესახებ. კურსში "ინგლისური ენის ლექსიკოლოგია" ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგი ტრიალებს ენის ფუნდამენტური ერთეულის - სიტყვის ყოვლისმომცველი გაგების ირგვლივ. ეს გაგება მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, სიტყვების სემანტიკური ტრანსპოზიციები, ფრაზეოლოგია, ნასესხობები და სხვა. კურსის ფარგლებში ეს თემები ჩამოთვლილია შემდეგნაირად: სიტყვის მნიშვნელობა; სიტყვის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურა; სიტყვის დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობა (კურსის სილაბუსი). აღსანიშნავია, რომ კურსში "მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია", ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგია, რომ სტუდენტი განსაზღვრავს და აღწერს სხვადასხვა მწერლის მსოფლმხედველობის პოზიციებს და შემოქმედებით მახასიათებლებს, ასევე ანალიზებს მათ თემებსა და საკითხებს და აცნობიერებს ამ მწერლების მიერ გამოყენებულ გამორჩეულ მხატვრულ მეთოდებს (კურსის სილაბუსი). ეს კურსი შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოს ღრმა გაგება მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურული ლანდშაფტის შესახებ, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოიკვლიონ და ინტერპრეტაცია გაუკეთონ სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებებს, მათ უნიკალურ პერსპექტივებს და მათ შემოქმედებით ტექნიკას. თუმცა, შეიძინევა, რომ სილაბუსში ცალსახად არ არის ასახული მხატვრული მეთოდების

- რეკომენდებულია „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესის“ თანმიმდევრულად გამოყენება ან საჭიროების შემთხვევაში პლაგიატის საკითხების სხვაგვარად რეგულირება (თუ პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას) - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს ასეთი რეგულაციები შესაბამის დოკუმენტებში და უზრუნველყოს, რომ ისინი ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის.

**რჩევები პროგრამის განსავითარებლად**

- პლაგიატის პრობლემასთან დაკავშირებით, სასურველია მეტი ძალისხმევა დაიხარჯოს პრევენციაზე, ვიდრე დასჯაზე.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
2.4. სტუდენტების შეფასება:	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის

ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წინასწარ და შემდგომ წარდგენილი დოკუმენტების, უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და შესაბამის სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო შეეფასებინა წარმოდგენილი პროგრამა და განეხილა მისი შესაბამისობა მე-3 სტანდარტთან.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს და შესაბამისად, ახორციელებს ყველა ხელმისაწვდომ სერვისს, აკონტროლებს მათ ხარისხს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს მათი დროულობა და ეფექტურობა. მე-3 სტანდარტის პირველი შეფასება გვინდა დავიწყოთ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით საკონსულტაციო და დამხმარე სამსახურებიდან. უსდ-ის თითოეული სტრუქტურული ერთეულის სხვადასხვა წარმომადგენელი ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის შემადგენელი აქტივობების ლოგიკურ თანმიმდევრობაში. სტუდენტების სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სერვისების უმრავლესობას, ძირითადად, ფაკულტეტის წარმომადგენლები ახორციელებენ. უსდ სასწავლო პროცესის მენეჯერები და სპეციალისტები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას და სტუდენტებს სთავაზობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სერვისებს. ისინი მართავენ სტუდენტების აკადემიურ რეგისტრაციას ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (როგორცაა სტუდენტების დარეგისტრირება საგნებზე, შესაბამისი მიმართულების და სემესტრის სტუდენტების რეგისტრაცია ახალ სასწავლო კურსებზე, სტუდენტების ჯგუფებად განაწილება, ახალი სასწავლო კურსების/წყაროების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დამატება, სტუდენტების სასწავლო განრიგის ატვირთვა და ა.შ.). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა სასწავლო პროცესის მართვის წესების შესრულება და ასევე, მიიღო დამატებითი ინფორმაცია. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ფაკულტეტი უზაზანის მათ რეკომენდებული საგნების სიას, რომელიც შეესაბამება მათ აკადემიურ სემესტრს და ითვალისწინებს მათ აკადემიურ მოსწრებას. გარდა ამისა, უსდ-ს სპეციალისტები საკონსულტაციო მომსახურებას უწევენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს. სასწავლო პროცესის მენეჯერებისა და სპეციალისტების გარდა, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი აკვირდებიან სტუდენტების ჩართულობას და აკადემიურ მოსწრებას და შედეგებზე დაყრდნობით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდში (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მსურველი სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. განაცხადში უნდა იყოს დასაბუთებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამხმარე დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემთხვევიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დეკანი განიხილავს განაცხადს კურსის მართვის სამსახურთან (ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ სამსახურთან) კონსულტაციით და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თაობაზე. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ

აისახება სტუდენტთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამის ეფექტურ განხორციელებას უნივერსიტეტის სტრატეგიის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ინტერვენციას პროგრამაში. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ სასწავლო კურსის ლექტორებს, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტის საჭიროებებს და მოქმედებენ შესაბამისად.

უსდ-ის სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი სტუდენტებს გზამკვლევობას და დახმარებას უწევდა სამუშაოს მოძიებასა და მათ კარიერაში საჭირო უნარების განვითარებაში. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიული განვითარებისა და წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმები გათვალისწინებულია კონსულტაციებსა და აქტივობებში (მაგალითად, CV-ის და სამოტივაციო წერილის წერა, სარეკომენდაციო წერილების მიღება, ინტერვიუს ტექნიკა, სამუშაოს ძიების ფორმების შევსება, კომუნიკაცია, ეფექტური პრეზენტაცია და ა.შ.). სტუდენტები იღებენ პერსონალურ სამუშაო შეთავაზებებს და ასევე აქვთ შესაძლებლობა იხილონ სხვა სამუშაო შეთავაზებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათ ძირითად საკვალიფიკაციო სფეროსთან. სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი თანამშრომლობს სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებლებთან და აწარმოებს სხვადასხვა დასაქმების შესაძლებლობების მონაცემთა ბაზას. ამ კუთხით სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი ინდივიდუალურ და ჯგუფურ კარიერულ კონსულტაციას უწევს ყველა დაინტერესებულ სტუდენტს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სთავაზობს შიდა სტაჟირებას, რომელიც გრძელდება 3 თვემდე.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტს კიდევ უფრო მეტი სტუდენტური აქტივობა გააჩნია, რომელთა რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდასაც გეგმავს უახლოეს მომავალში (მაგალითად, მეტი სტუდენტური კლუბების დაარსებას).

უსდ თავიდანვე ახდენს თავისი სტუდენტების ინტეგრირებას შიდა საუნივერსიტეტო გარემოში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, თუ რამდენად კეთილგანწყობილია უნივერსიტეტი სტუდენტების მიმართ და უწევს ნებისმიერ საჭირო დახმარება მათი ინტეგრაციის პროცესების შემდგომი სტიმულირებისათვის. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჯგუფმა მოგვაწოდა ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების ტაობაზე, რომლებიც ფოკუსირებული იყო სტუდენტთა ინტეგრაციაზე კლუბურ აქტივობებში, მისასალმებელ წვეულებებში, საუნივერსიტეტო ტურებში, გამოჩენილი პიროვნებების საჯარო ლექციებში ჩართულობაში და ა.შ.

სტუდენტებს სთავაზობენ მონაწილეობის მიღებას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, შემოქმედებით-შემსრულებელ აქტივობებში და სტუდენტთა მობილობის პროგრამებში. წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ისწავლონ საზღვარგარეთ ERASMUS+ პროგრამისა და ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში. უსდ-ს ჰყავს ბევრი საერთაშორისო პარტნიორი და გეგმავს მათი რაოდენობის კიდევ უფრო გაფართოებას. უსდ-ის სტუდენტების ენის ცოდნა საშუალებას აძლევს მათ თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა გაცვლითი მობილობის პროგრამებში. მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, გასული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- უსდ-ს "სასწავლო პროცესის რეგულირება";
- დოკუმენტი - ორგანიზაციული სახელმძღვანელო;
- დოკუმენტი - შეფასების სისტემის დოკუმენტი (ამონარიდი შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულებიდან, დამტკიცებულია 2019 წლის 22 ივლისის #87-19 ბრძანებით; შესწორებული ვერსია დამტკიცებულია 27.02.23 წლის #45-23 ბრძანებით);
- დოკუმენტი - ინდივიდუალური გეგმა (ამონარიდი შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულებიდან, დამტკიცებულია 2019 წლის 22 ივლისის #87-19 ბრძანებით; შესწორებული ვერსია დამტკიცებულია 27.02.23 წლის #45-23 ბრძანებით);
- დოკუმენტი - სტუდენტი და პერსონალი საერთაშორისო პროექტებში;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები
- კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები/პროექტები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უსდ-ს ვებგვერდი;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### **3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არ ეხება ამ პროგრამას

### **4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

#### **4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის ჩარჩოსა და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამაში ჩართული იქნება 35 პერსონალი, მათ შორის 22 აკადემიური და 13 მოწვეული პერსონალი. პროგრამაში ჩართული პერსონალის საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილია თანდართული ფაილების სახით. ამ დოკუმენტაციის განხილვით ცხადი ხდება, რომ პროგრამაში ჩაერთვება პერსონალი, რომელიც ფლობს საჭირო კვალიფიკაციას პროგრამის კურსების ეფექტურად ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ პერსონალის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე ინსტრუქტორი, გარდა უმაღლესი განათლებისა, ფლობს ინგლისური ენის სწავლების საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატებს (როგორცაა CELTA და TESOL), რაც შეიძლება ჩაითვალოს ღირებულ აქტივად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის უნივერსიტეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად, აფილირებული პერსონალის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, როგორც ეს მითითებულია მიმდინარე სემესტრის დატვირთვის დოკუმენტში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში აფილირებული პერსონალის საათობრივი დატვირთვა აღწევს 45 საათს, საიდანაც 5 საათი ეთმობა ლექციებს. აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიურ პერსონალთან შემდგომმა დისკუსიამ ცხადყო, რომ ამ კონკრეტულ თანამშრომელს სხვა თანამდებობაც უკავია უნივერსიტეტში და ეს გაზრდილი დატვირთვა შესაძლოა მიეწეროს სწორედ ამ დამატებით პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით (საქართველოს შრომის კოდექსი), რომელიც ითვალისწინებს კვირაში მაქსიმუმ 40-საათიან დატვირთვას, ექსპერტთა ჯგუფი, უნივერსიტეტის რეგულაციებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გირჩევთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პერსონალის დატვირთვის გადახედვას.

მიმდინარე სემესტრის განმავლობაში პროგრამაში მონაწილე პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო შედეგების ამსახველი რიცხვითი მონაცემები ხელმისაწვდომია მოწოდებულ დოკუმენტაციაში სემესტრული დატვირთვის დოკუმენტის სახით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს დარგის მიმართულებით <sup>5</sup>	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	13	6	5	6
- პროფესორი	3	0	0	2
- ასოცირებული პროფესორი	10	6	4	4

<sup>5</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს



- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	22	7	1	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები (CV, დიპლომები);
- დატვირთვის სქემა;
- საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 24. (2);
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განსავითარებლად**

- უნივერსიტეტის რეგულაციებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების შესასრულებელს მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის დატვირთვა.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1. ადამიანური რესურსები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
არ ვრცელდება ამ პროგრამაზე

#### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედებს ყოვლისმომცველი პროტოკოლი როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული მეცნიერების საქმიანობის შესაფასებლად. ეს ოქმი მოიცავს პროფესორთა პედაგოგიური, სამეცნიერო კვლევისა და სხვა ინსტიტუციური წვლილის საფუძვლიან შეფასებას. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, დაწესებულება გასცემს სხვადასხვა ჯილდოს, მათ შორის ფინანსურს.

შეფასება ხდება ორი ძირითადი მიმართულებით: ერთის მხრივ, სტუდენტები აფასებენ როგორც მოწვეულ, ისე აკადემიურ პერსონალს სპეციალურად მომზადებული კითხვარების მეშვეობით. მეორეს მხრივ, პერსონალი ახორციელებს თვითშეფასებას. განსაკუთრებით კარგ პრაქტიკად უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების კითხვარი, გასული სემესტრის შეფასებასთან ერთად, მოიცავს ისეთ კითხვებსაც, რომლებიც საშუალებას აძლევს პერსონალს გამოთქვას საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი ამა თუ იმ სფეროში.

შემდგომი შესწავლით დადასტურდა, რომ სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკრედიტაციას დაქვემდებარებულ პროგრამებში ჩართული პერსონალის შეფასებას. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს აკადემიური პერსონალის კონკურსებში შეფასების შედეგების ჩართვაზე, რაც მათი პროფესიული წინსვლის ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმს წარმოადგენს.

მოკლე შეტყობინებები რეგულარულად ეგზავნება პროფესორებსა და ინსტრუქტორებს, რომლებიც აცნობენ მათ ინფორმაციას საუნივერსიტეტო ღონისძიებების, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების, მათ შორის საგრანტო კონკურსების და აკადემიური

მობილობის პროგრამების შესახებ, რომლებიც შექმნილია პროგრამაში ჩართული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. შესაბამისი ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. თუ პერსონალი აკმაყოფილებს კონკრეტულ მოთხოვნებს, დაწესებულების ბიუჯეტი მოიცავს მუხლს, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მათი მონაწილეობის და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში მათი სტატიების გამოქვეყნების დასაფინანსებლად.

ინტერვიუების მსვლელობისას პროფესორებმა ხაზგასმით აღნიშნეს კონკრეტულად ერასმუსის პროგრამების პრეზენტაცია, როგორც ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ დისკუსიების მეშვეობით ასევე დადასტურდა აკადემიური მობილობის შემთხვევები.

დაწესებულებას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა ყველა საჭირო რესურსით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს აკადემიური და კვლევითი სამუშაოებისათვის. უნივერსიტეტის კამპუსიდან და მის ფარგლებს გარედანაც მათ შეუძლიათ დაუკავშირდნენ ძირითად სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს (EBSCO პაკეტი, HeinOnline, Elsevier და ა.შ.) ბიბლიოთეკის მიერ მიცემული სახელისა და პაროლის გამოყენებით.

პანდემიის ფონზე, სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყო უსდ-ს პროფესორებისა და პედაგოგების შესაფერის ვირტუალურ პლატფორმაზე წვდომას. პლატფორმის გამოყენების დეტალური გაიდლაინები ჩამოყალიბდა და გავრცელდა აკადემიურ პერსონალში. ინტერვიუებიდან მიღებული დამადასტურებელი მტკიცებულებები ხაზს უსვამდა პროფესორების მიერ ვიდეო ლექციების ჩატარების ცოდნასა და უნარს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პერსონალის სტატისტიკა
- ტრენინგების ჩამონათვალი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესები
- ბრძანება N164-22 - აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისათვის ერთჯერადი ფულადი პრემიის განსაზღვრის შესახებ.
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგი
- სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დასკვნა სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ
- სტატისტიკური ინფორმაცია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესახებ

- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განსავითარებლად**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განსავითარებლად

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

**4.4. მატერიალური რესურსები**

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რაც მას მიზნებისა და ამოცანების მიღწევის საშუალებას აძლევს. ბიბლიოთეკას აქვს წიგნადი ფონდის მდიდარი არჩევანი და ზოგიერთი მათგანი, რომელიც გამოიყენება სავალდებულო საგნობრივ სილაბუსებში, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ფიზიკური, ისე ციფრული ფორმით. აუცილებლობის შემთხვევაში, სტუდენტს ან აკადემიურ პერსონალს, შეუძლია მოითხოვოს კონკრეტული წიგნების დიგიტალიზაცია ან ახალი წიგნების შეძენა. ბიბლიოთეკარები ყოველთვის ეხმარებიან სტუდენტებს, თუ მათ სჭირდებათ რამდენიმე გვერდის სკანირება ან ასლების გადაღება.

აღსანიშნავია, თუ რამდენად მოქნილია სტუდენტური პორტალი სტუდენტებისათვის კონკრეტულ მასალებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. პროფესორებს შეუძლიათ ატვირთონ იმ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, რომლებსაც ისინი გააშუქებენ სტუდენტებისათვის სემესტრის განმავლობაში, მათ შორის საჭირო ლიტერატურა, დამატებითი სტატიები და საკუთარი სახელმძღვანელოები.

დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის თანამედროვე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და სხვადასხვა ციფრულ რესურსებზე. ამის შესახებ ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტებმა და პერსონალმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზების ან მასალების გამოყენებისას არანაირი პრობლემა არ იქმნება და რომ უნივერსიტეტი ატარებს ტრენინგებს მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, სადაც სტუდენტებს და თანამშრომლებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია მათთვის საჭირო წიგნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკასთან და მსურველებს აწვდის ყველა საჭირო რესურსს. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინსტრუქციები ბიბლიოთეკის სერვისებითა და ელექტრონული ბაზებით სარგებლობის შესახებ.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ვიზიტი ბიბლიოთეკაში;
- ვებგვერდი: <https://www.sabauni.edu.ge/ka/content/chven-shesakheb/biblioteka>
- ინტერვიუები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

#### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
4.4. მატერიალური რესურსები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სავარაუდოდ, დაფინანსდება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რომლის მხოლოდ ნაწილია სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია წელიწადში 30 სტუდენტზე და ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის, საბიბლიოთეკო რესურსების, მათ შორის წიგნების, პერიოდულ გამოცემების, ჟურნალების და სხვა ელექტრონული რესურსების, კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების ორგანიზების, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებას და სხვა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხარჯებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა უნივერსიტეტში ხორციელდება ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიების მიხედვით). უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ ისინი განახორციელებენ პროგრამას მაშინაც კი, თუ სტუდენტთა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა ვერ მოგროვდება პროგრამაზე პირველი მიღებისას. პროგრამის ფინანსურ მდგრადობისათვის ისინი კომპენსირებას მოახდენენ ცენტრალური ბიუჯეტიდან, რადგან ის პირდაპირ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

#### რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

<b>3. სასწავლო უზრუნველყოფა რესურსებით</b>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

## 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების პროცედურის" დებულების, შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფოკუსირებულია სემესტრულ და წლიურ გამოკითხვებზე, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე შეფასების შედეგების გაანალიზების, ეფექტური მონიტორინგის უზრუნველყოფის, სტრატეგიული განვითარების მიზნების იდენტიფიცირებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების მიხედვით, პროგრამის შეფასება უნივერსიტეტში თანმიმდევრულია და მისი შედეგები, როგორც წესი, გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის შესაბამისი დავალებების განაწილებამ უზრუნველყო მომავალი განვითარების შესაძლებლობებზე მუშაობა.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება აუცილებლობაზე დაფუძნებული და საჭიროების შეფასების გამოკითხვები პრობლემების მიზანმიმართულად გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩარევების უზრუნველსაყოფად. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისაკენ. სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება ასევე, პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;



- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმირებისა და შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

**5.2. გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა, ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებს. ზოგადად, უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებები ეცნობებათ პროგრამების ხელმძღვანელებს შემდგომი განხილვისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. გარე შეფასების მექანიზმები, ასევე,

მოიცავს ქართველი და უცხოელი კოლეგების მიერ კოლეგიალურ შეფასებას, ხოლო ინგლისურენოვანი/ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, შესაბამისი ეროვნული და/ან საერთაშორისოდ აღიარებული აკრედიტაციის დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებმა - კავკასიის უნივერსიტეტიდან, სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ახალი უმაღლესი სასწავლებელიდან; ხოლო პოლონეთიდან – ვარშავის უნივერსიტეტის ინგლისური ენის შემსწავლელი ინსტიტუტიდან. შეფასებებში გამოიკვეთა პროგრამის მნიშვნელობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებზე მოთხოვნა, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების თავისებურებები და პროგრამის პოტენციური შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა;
- კოლეგიალური შეფასებები;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმირებისა და შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------------	----------------------------------

5.2. გარე X ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, ხოლო შეფასების შედეგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვები წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების უმთავრეს საშუალებას. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე იქმნება ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში დანერგილია კითხვარის ოთხ ეტაპიანი ანალიზის პრაქტიკა. თავდაპირველად, მონაცემები გროვდება ინდივიდუალური კითხვარების მეშვეობით. შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების შედარება საორიენტაციო წლის შესაბამის კომპონენტებთან და წინა ანგარიშებთან. მესამე ეტაპზე ხდება შუალედური შეფასების შედეგების დაჯგუფება და შედარება საორიენტაციო წლისა და წინა საანგარიშო პერიოდის შესაბამის შუალედურ შედეგებთან. და ბოლოს, ხარისხის შეფასების შედეგები მიღებული და შედარებულია საორიენტაციო წლისა და საანგარიშო პერიოდის შედეგებთან.

უსდ უზრუნველყოფს ბენჩმარქინგს საუკეთესო პრაქტიკებთან, რათა განავითაროს საერთაშორისო დონის კონკურენტული და ინდივიდუალური პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების - კავკასიის უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კრაკოვის იეზუიტური უნივერსიტეტის, უნგრეთის კათოლიკური

უნივერსიტეტის, ჩეხეთის ოსტრავას უნივერსიტეტის გამოცდილებას. ანალოგური პროგრამების ანალიზის შედეგად დაფიქსირდა მრავალი საერთო კურსი და მახასიათებელი, რამაც გავლენა მოახდინა პროგრამის შემუშავების პროცესზე. პროგრამის გუნდმა ასევე შემოიღო ახალი კურსები და უნარები საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, პროგრამის გუნდმა გაითვალისწინა ადგილობრივი ქართული რეალობა და მოთხოვნები და მოახდინა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პრაქტიკისა და მოთხოვნების ინკორპორირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- შეფასების ანგარიშები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმირებისა და შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
5.3. პროგრამის მონიტორინგი და	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

**პერიოდული  
შეფასება**

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

4. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: **სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხური: **საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია**

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ინდივიდუალური მუშაობა				
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე  
 ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩი, ხელმოწერა  
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები  
 მარიამ კილანავა, ხელმოწერა  
 რევაზ ტაბატაძე, ხელმოწერა

ანა ყიასაშვილი , ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე, ხელმოწერა

ალექსანდრე კალანდაძე, ხელმოწერა